ეროვნული ბიბლიოთეკა

F792 N13690


# კლდე

ქართული ნაციონალური პარტიის ორგანო

კვირა თებერვლის 1 (იანვრის 19) 1920 წელი.

№ 5.

ფასი 3 მან.

ყოველ-კვირეული გაზეთი „კლდე"

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

მიიღება ხელის მოწერა 1920 წლისათვის. გაზეთის ფასი წლის დამლევამდე 200 მ.

ტელეფონი რედაქციის № 19—66 რედაქტორის № 22


## შინაარსი


გრ. ვეშაპელის შეკითხვა დამფუძნებელ კრებაში (აფხაზეთში თამბაქოს მონოპოლიის განხორციელების შესახებ).
რაჲ. მონოპოლია მატყლზე.
რ. გაბაშვილი. ტეხნიკური „სტუმრის" გამო.
—
ქუთაისის დამხმარე საზოგადოება.
ქალაქის საბჭოში.
ახალციხეში.


## ქუთაისში

კვირას, 1 თებერვალს, საღამოს 6 საათზე

პარტიის ბიუროში (ორპირის ქუჩა, დ. ღოღობერიძის სახლი) შესდგება

## ეროვნული პარტიის

ორგანიზაციის კრება

პარტიულ მოხსენებას წაიკითხავს დამფ. კრ. წევრი

**გრიგოლ ვეშაპელი**

---

## კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება „კახეთი"-ს გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ ორშაბათს, მარტის 1-ს (ახ. სტ.) თფილისში საკუთარ შენობაში, გოგოლის ქ. № 63 დილის 10 საათზე დანიშნულია.

## წევრთა საზოგადო კრება

**განსახილველია:** 1) წევრთა სიის გადასინჯვა, 2) განხილვა და დამტკიცება 1918—19 წ. ანგარიშისა, 3) განხილვა და დამტკიცება 1919 20 წლ. [illegible] საბჭოს მოხსენება, 5) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 6) წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა და დამტკიცება, 7) გამგეობის ორი წევრის არჩევა ნაცვლად თავის ნებით გასულ ესტ. მიხ. პაატაშვილისა და რიგით გასულ ილ. გ. სამადაშვილისა, 8) საბჭოს ორი წევრის არჩევა, 9) სარევიზიო კომისიის ერთი წევრისა არჩევა, 10) მიმდინარე საკითხები.

**გამგეობა.**

---

## საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 1-ლ თებერვლიდან იგი მიიღებს ყოველგვარ ტვირთს ქალქ თფილისში და ქალაქს გარედ გადასაზიდ-გადმოსაზიდავად.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების კანცელარიაში დილის 9 საათიდან— ნაშუადღევის 3 საათამდე. (სერგიევის ქუჩა № 8).

---

## აფხაზეთში თამბაქოს მონოპოლიის შესახებ

**გრ. ვეშაპელის შეკითხვა დამფუძნებელ კრებაში**

დამფუძნებელმა კრებამ ოქტომბრის 24 მიიღო დეკრეტი, რომლის ძალით:

„1, ყიდვა გაყიდვა, საზღვარ გარედ გატანა და განაღდება ფოთლის თამბაქოსი შეადგენს სახელმწიფო მონოპოლიას, „2, მთავრობას უფლება ეძლევა დააწესოს მტკიცე ფასი ფოთლის თამბაქოსი და ამ ფასით ჩამოართვას იგი მქონებელს;" მხოლოდ „მტკიცე ფასების შესამუშავებლად არსებობს ორგანო, სადაც შედიან მთავრობის, საზოგადოებრივ ორგანიზაციების და სავაჭრო პალატის წარმომადგენლები".

ასეთი იყო დეკრეტი.

ხოლო ის განმარტება, რომელიც წარუდგინეს დამფუძნებელ კრებას ამ დეკრეტის გამო ფინანსთა და მომარაგების უწყებებმა გვპირდებოდა „საგანგებო ორგანოს შექმნას ცენტრალ მთავრობისა, ადგილობრივ სამმართველოთა, ერობათა და მეთამბაქოეთა კავშირების წარმომადგენლებისაგან".

მთავრობა გვპირდებოდა კიდევ უფრო მეტს, „მეთამბაქოების ახაყვავებლად, თამბაქოს სათესლეს ძველ მიდამოების აღსადგენად, მის გასაფართოებლად, თამბაქოს დამუშავების და მისი ხარისხის გასაუმჯობესებლად", იმას, რომ გაადვილებოდა თამბაქოს პლანტაციისათვის საჭირო მიწების იჯარით აღებისა თუ საკუთრებად შეძენის საქმე, გრძელ ვადიანი სესხის მიცემით, სახელმწიფო ფონდიდან მიწის შეღავათიანი დათმობით, საუკეთესო ხარისხის სათესლეს დარიგებით, სულიერი და უსულო ინვენტარის მიცემით, ბეების დარიგებით, სესხით, თამბაქოს რაოდენობის ზრდისათვის ფასის პროგრესიული წამატებით, ქარხნების მოწყობით და სხვა.

ამგვარად მთავრობა დეკრეტის განხილვის დროს ცდილობდა დაემტკიცებია, რომ მონოპოლიას არ ექნებოდა მარტო ფისკალური, მარტო ხაზინის მოგების ხასიათი, არამედ ამ მონოპოლიით უნდა გაუმჯობესებულიყო თვით თამბაქოს კულტურის საქმე.

ნამდვილად კი, როდესაც დეკრეტი გაატარეს ცხოვრებაში, ყველა ეს დაპირებანი დავიწყებული იქნა და დარჩა მხოლოდ სახაზინო შიშველი ბიუროკრატიზმი.

მთავრობამ არა თუ დაპირებანი არ შეასრულა, არამედ მთავრობამ თვით კანონი, თვით დეკრეტი დაარღვია.

მთავრობას არ შეუდგენია ის ორგანო, მთავრობის, საზოგადოებრივ ორგანიზაციების და სავაჭრო პალატის წარმომადგენლების, რომელსაც უნდა შეემუშავებია მტკიცე ფასები თამბაქოსი.

ასეთი ორგანოს შედგენა უნდა მომ- [illegible] ლასათვის გასაგებად, ჩვენ კი არც კერძოდ შედგენა გაგვიგონია.

ამას გარდა ცხადია, რომ ასეთი შემათანხმებელი ორგანო ვერ შედგებოდა ისე, თუ შიგ არ შევიდოდნენ იმ კუთხის მეთამბაქოეთა ორგანიზაციების წარმომადგენელნი, რომელიც არიან უფრო დაინტერესებულნი თამბაქოს მონოპოლიით.

ასეთი კუთხეა აფხაზეთი, სადაც მოდის ყველაზედ უფრო მეტი და უკეთესი თამბაქო და სადაც ამ ჟამად არის დაგროვილი თითქმის მთელი ის თამბაქო, რომლისთვის გამოცხადდა მონოპოლია.

ნამდვილად კი არც თფილისში და არც სოხუმში ადგილობრივ მეთამბაქოთა ორგანიზაციებისათვის არავითარი ანგარიში არ გაუწევიათ და მომარაგების სამინისტრომ მთელი მონოპოლიის გატარება აფხაზეთში ერთ პირს მიანდო, ბ-ნ კიასოვს.

ბ-მა კიასოვმა მთელი რიგი ზომებისა მიიღო უკვე: მან გამოაცხადა რომ ყოველმა მეთამბაქოემ უნდა მისცეს მას ხელწერილი, რომ თავის საწყობში მყოფ საკუთარ თამბაქოს თავისი პასუხისგებით შეინახავს მთავრობისათვის;

ვინც ასეთ ხელწერილს არ იძლეოდა იმას ციხეში სვამდნენ. შვიდი კაცი კიდეც დამწყვდეული იყო. მათგან ზოგიერთი გაანთავისუფლეს, როდესაც სოხუმში დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისია ჩავიდა და დეპუტატებს საჩივარი მიართვეს ბ. კიასოვის მოქმედების შესახებ.

ბ. კიასოვმა ასეთი იურიდიულად შეუფერებელ ხელწერილების ნაძალადევი ჩამორთმევის შემდეგ პირდაპირ გამოზიდა თამბაქო სხვისი საწყობებიდან და გადასცა იმ უცხოეთის ფირმებს, რომელთა გემები სოხუმში მთავრობის თამბაქოს იღებენ (ინგლისური „კოსმოსი" და ფინლიანდიის „კროხმანი"). ამან დიდი აურ-ზაური გამოიწვია როგორც სოხუმში ისე საზღვარ გარედ, უცხოეთის ჰრესაში.

ბ. კიასოვმა არა თუ მტკიცე ფასები დააწესა თავისით, არამედ საჯარიმო, საშტრაფო ფასებიც შემოიღო იმათვის, ვინც უპროტესტოდ არ ასრულებდა მის საზღვარს გადამეტებულ მოთხოვნილებებს. არც მტკიცე და არც საჯარიმო ფასები სოხუმში არავითარ კანონით ნაგულისხმევ ორგანოში არ გატარებულა და ყველაფერს ამას ბ. კიასოვი იმით ასაბუთებს, რომ „ინსტრუქცია" მაქვსო, მხოლოდ როდესაც ეს ინსტრუქცია ვნახეთ, აღმოჩნდა, რომ ის თვით ბ. კიასოვს დაუწერია თავისი თავისათვის და ხელიც თვითონ მოუწერია.

ყველაფერი ეს დიდ უკმაყოფილებას იწვევს აფხაზეთში არა მარტო ვაჭარ-მრეწველთა, არამედ თვით მწარმოებელთა, პლანტატორთა შორის;

საერთოდ შეუძლებელია დემაგოგიურად თამბაქოს მრეწველთა და მწარმოებელთა ინტერესების დაპირდაპირება. მათ შორის ისეთი ეკონომიური კავშირი არსებობს რომ მწარმოებელი პლანტატორი თამბაქოს სულაც არ დათესავს, (ასე ხდება დღეს აფხაზეთშიც და ქიზიყშიც) თუ მეთამბაქოეთა სავაჭრო-სამრეწველო ფირმები მონოპოლიის გამო განადგურდება, მით უფრო რომ მთავრობისგან ჯერ პლანტატორებს გარდა დემაგოგიურ პროკლამაციებისა „სპეკულიანტების" ალაგმვის შე- [illegible] უნახავთ, ხოლო მეთამბაქოე მრეწველნი კი აფხაზეთში ფულით, ცოდნით და ტეხნიკით რამოდენიმე ათეული წელიწადია მუშაობენ და სწორედ მათ განავითარეს ის თამბაქოს კულტურა, რომლითაც ამაყობს აფხაზეთი.

მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს მრეწველები მოვიდნენ აფხაზეთში ოსმალეთიდან, როცა იქაურ მონოპოლიას გამოექცნენ და აქაურ მონოპოლიასაც ისევე შეუძლია აიძულოს ისინი გადაბარგდნენ სხვაგან უცხოეთში და წაიღონ თან თავიანთი კაპიტალი, ცოდნა და ტეხნიკა.

ამიტომ საჭირო არის შეთანხმებით როგორც თამბაქოს მტკიცე ფასების, და ჩამორთმევის საქმის მოგვარება, ისე საზღვარ გარედ ექსპორტის განხორციელება.

ასეთი საერთო, შემათანხმებელი გზა მთავრობამ მონახა შავი ქვის მონოპოლიის საქმეში, როდესაც „მარგანეცის საექსპორტო საზოგადოება" შექმნა და ასეთივე გზის გამონახვა არის საჭირო თამბაქოს მონოპოლიისათვის საერთოდ და კერძოდ აფხაზეთში.

თვით აფხაზეთის, სოხუმის მეთამბაქო მრეწველებს არა ერთი წინადადებით მიუმართავთ მთავრობისთვის, მომარაგების სამინისტროსათვის ამის შესახებ, მაგრამ აქამდის პასუხად მხოლოდ ბ. კიასოვის „ინსტრუქციები" იყო.

ამას იქით მაინც უნდა ბოლო მოეღოს ასეთ პოლიტიკას თამბაქოს მონოპოლიის საქმეში.

თამბაქოს [illegible] მონოპოლია აგრეთვე უნდა განხორციელდეს ისეთივე შეთანხმებით, როგორც განხორციელდა შავი ქვის მონოპოლია.

—

ეს შეკითხვა დამფუძნებელმა კრებამ მოისმინა 30 იანვარს; მთავრობის სახელით მომარაგების მინისტრის ამხანაგმა ბ. ივ. ქავთარაძემ ითხოვა ერთი კვირის ვადა საპასუხოდ რადგან მთავრობას ხელთ არ აქვს საჭირო ცნობებით.

## მონოპოლია მატყლზე.

განვლილ მეცხვარე-მესაქონლეთა ყრილობაზედ ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა და პროფესორმა. ბ მა ავალიანმა წაიკითხა „მოხსენება" მატყლის მონოპოლიაზედ. მოხსენება ესე, ასეთი უბრალო და პრიმიტიული იყო, თითქო მეცხვარეების კი არა, ცხვრების ყრილობა ყოფილიყოს:

„თქვენ გაქვთ მატყლი, ნედლი მასალა, რომელიც სჭირდება ევროპას. ჩვენ (მთავრობა) ჩამოგართმევთ სამართლიან ფასებში ამ მატყლს, გავიტანთ საზღვარ-გარედ, გავყიდით, იქ ვიყიდით საქონელს, რომელიც ჩვენ გვჭირდება, შემოვიტანთ და ხალხს მივცემთო". როგორც ხედავს მკითხველი, ფორმულა მონოპოლიისა სადაა (თითქო მარტო ასეთი მონოპოლია არსებობდეს ქვეყანაზედ) და ოდნავ შეხამებული იყო ფინანსების სამინისტროს აზრით ჩვენ ფულზედ „რომელსაც ფასი არა აქვს" და შუამავლებზედ, რომელნიც ითვისებენ მოგებას მატყლის ყიდვისა და შემოტანილ საქონლის გაყიდვის დროს; მთავრობა კი, ამორჩეული ხალხისაგან, მარტოოდენ ხალხზედა ზრუნავსო.

— რა არის „სამართლიანი" ფასი, იკითხა ერთმა ორატორმა.

— შეფასებაში ჩვენ უნდა მივიდოთ მონაწილეობა, გამოსთქვა მეორემ.

— ჩვენ ფული გვიჭირს და გაყიდვის შემდეგ კი არა, ეხლავე ავანსად უნდა მოგვცეთ ფულის ნაწილი და მატყლის მიღებისას, დანარჩენი სრულადაო,—სთქვა მესამემ.

— საზღვარ გარედ რომ გაიტანთ, ჩვენი კაცები უნდა წამოვიდნენ, რომ თვალყური ადევნონ გაყიდვას და მოგების ნაწილი ჩვენი უნდა იყოსო, სთქვა მეოთხემ.

— ხითაროვს რად მიეცით მონოპოლიის საქმეო, სთქვა მეხუთემ.

არსებითად, ყრილობამ, რომელმაც მიიღო სახელმძღვანელოთ ეს დებულებანი, როგორც ხედავთ, უნდობლად შეხედა მონოპოლიის განხორციელებას, თუ ვიანგარიშებთ პოლიტიკურის და ეკონომიურის თვალსაზრისით, მაგრამ ბ-მა პროფესორმა ამას ყურადღება არ მიაქცია, არსებითი პასუხი არავის მისცა და დემაგოგიურად გადასწვდა რ. გაბაშვილს, რომელმაც აღნიშნა მონოპოლიის სიძნელენი (თანხის უქონლობა და შესაფერ აგენტებისა), წინანდელი ასეთი ცდების უვარგისობა ხალხისთვის და სპეკულიანტების საქმეში ჩარევის შეუფერებლობა.

„ჩვენ ცოდნა გვაკლია, გამოცდილება არა გვაქვს, შეცდომები ბევრი ჩავიდინეთო",—ბრძანა მინისტრმა—მაგრამ საქმეს მაინც კარგა გავაკეთებთ, რადგან სურვილი გვაქვს ხალხს დავეხმაროთო. რასაკვირველია, ახალგაზრდა პროფესორს ეპატიება გამოუცდელობა და არ ცოდნა, შეცდომები, მაგრამ მინისტრმა უნდა იცოდეს რომ ყოველ კონსტიტუციონურ ქვეყანაში მინისტრი გადადგება ხოლმე, როცა ერთ შეცდომასაც ჩაიდენს და შეუფერებელ საქმეს შეეხეჩება; ჩვენი მინისტრები კი წაიტეხავენ კისერს ქარცივაძეებთან, შრეიდერებთან, „სიბუნიონებთან", და მრავალ სხვა საქმეში, მაგრამ პირს მოიწმენდავენ და უარესი რიხით ალაპარაკდებიან შემდეგ შეცდომებამდის. ჩვენში მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტრების პასუხისმგებლობა კი არა, პასუხისმგებლობის უბრალო გრძნობაც კი დაკარგული აქვთ მინისტრებს.

— მონოპოლია ჩვენი მოგონებული კი არ არის, ინგლისში, საფრანგეთში და გერმანიაშიც არის შემოღებულიო, ბრძანა მინისტრმა. ჩვენ არას ვამბობთ იმაზედ თუ როგორ ბაძავენ სოციალისტი მინისტრები ამიმპერიალისტურ ქვეყნების ბურჟუაზიულ მინისტრებს, მაგრამ იქაური მინისტრები არ იტყვიან საქვეყნოდ: ჩვენ ფულს ფასი არა აქვსო, ჩვენ ცოდნა და გამოცდილება არა გვაქვსო და ბევრ შეცდომებს ვაკეთებთო, რადგან ცოდნაცა აქვთ, გამოცდილებაც და ცხვრის გადასარჩენად სპეკულიანტ მგლებსაც არ მიმართავენ ხოლმე ისე რომ მიბაძვისაც ჭკუა უნდა. მერე საზღვარ გარედ ერთი უცნაურობა სჭირთ: რასაც მიზანს დაისახავენ იმას შეასრულებენ ხოლმე და ჩვენი მინისტრები სწორედ იმის საწინააღმდეგოს სჩადიან, რასაც ლაპარაკობენ: მონოპოლია ხალხისთვის გვინდაო, რომ ჩარჩებისაგან გადავარჩინოთო და თავიდანვე ჩარჩ ხითაროვს უგდებენ ხელში მონოპოლიას.

ხალხს უნდა „სამართლიანი“ ფასი მივცეთო და გაზეთები სავსეა ცნობებით თუ რა სამართლიანად სტაცებენ მთავრობის აგენტები ხალხს მაგალითად თამბაქოს (მონოპოლია გახლავთ), არ აძლევენ ფულს და მიაქვთ საზღვარ გარედ. ამბობენ, ინგლისის, ოსმალეთის, საბერძნეთის და სხ. მთავრობანი იღებენ ზომებს რომ „მოტაცებულ“ საქონელს ბაზარიც შეუკრანო.

აი ასეთ შიშს გამოსთქვამდა გაბაშვილი მატყლის შესახებაც და ბ-მა მინისტრმა და პროფესორმა ავლაბრულის ზრდილობიანობით უპასუხა, რომ „სპეკულიანტების დამცველები“ არიანო.

ჯერ არავის გაუგონია რ. გაბაშვილი სპეკულიანტების დამცველად ყოფილიყოს სადმე, მაგრამ ფინანსთა სამინისტროს რომ ეს ხელობად გაუხდია, ქვეყანამ იცის,—აი თუნდა ხითაროვი რადა ღირს, ან „სიბუნიონი“, რომელმაც ისე სამარცხვინოდ გაათავა საქმე, ბ-ნ ავალიანის [illegible] ძნებელ კრებაში.

სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი...

რაე.

## ტეხნიკური „სიტყვარის“ გამო.

„ქაჩალი თავს არ მოიფხანსო
და თუ მოიფხანს კიდეც მოიგლეჯსო“.

ანდაზა...

სწორედ ასე მოსვლია „საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების სატერმინო სექციას“, რომელსაც უკისრია ტიტანიური საქმე ლექსიკონის შექმნისა,—დიდი შრომა დაუხარჯია და მიზნისათვის კი ვერ მიუღწევია, რადგან თავიდანვე შემცდარ გზაზედ შემდგარა. მართლაც, მაშინ როდესაც ქართული ტერმინოლოგია (ტეხნიკური თუ მეცნიერული), სრულიად დაუმუშავებელია, ერთბაშად მისი შექმნა და უხეშად გადაქართულება—სრულიად არა მეცნიერული და არა მიზან შეწონილი საქმეა. ლექსიკონს ეტყობა კიდევაც: მიუხედავად მრავალი მობოდიშებისა და მიზნების აღნიშვნისა, რასაც ნახევარი წიგნი უკავია, იგი უმეტეს შემთხვევაში გაუგებარი დარჩება არა მარტო ხალხისათვის, ვისი სახელითაც ეხლა მოდა ლაპარაკი, არამედ ინტელიგენტურ საზოგადოებისათვისაც. ჩვენ აღარას ვამბობთ იმაზედ, რომ ქართულ ენაში შეტანა ამდენი ახალი ხელოვნური სიტყვისა, რომელსაც არც ბუნებრივი სილამაზე აქვს და არც მხატვრული მოქნილობა — ს ულიად ამახინჯებს, ასახიჩრებს მას და თუ აქამდე მარტო მტრები ეძახდნენ „собачій языкъ“-ს, ახლა მოყვრებსაც თამამად შეეძლებათ ამის გამეორება.

ავიღოთ მაგალითები. ქართულში, როგორც სხვა ენებში არის ლამაზი სიტყვებიც და უშნოც და თუ ხელოვნებაზედ მიდგა, უნდა ლამაზი ამოირჩეს, მაგრამ, ეტყობა „სატერმინო სექციაში“ ენის ბარბაროსები შეყრილან მხოლოდ. ვთქვათ მაგალითად ქართული ყველაზე ულამაზო სიტყვა წ ნ ე ხ ვ ა და აქედან გამოუყვანიათ давленіе. ჯერ ერთი წნეხმა „დავლენიეც“ რომ ყოფილ იყვეს,—უფრო შნოიანი სიტყვის გამოძებნა იყო საჭირო და მით უფრო რომ წნეხვა (ანალოგი ცეხვა, ტეხვა, რეხვა) ნიშნავს дробленіе, ჭყლეტა და არა давленіе, რაიც ალბად რუსულის გავლენაა: რუსულად ყურძნის დაწურვაზე, წნეხვაზე, ამბობენ: „давить“ виноградъ. წნეხვიდან ნაწარმოები სიტყვებიც უვარგისია, მაშასადამე, მაგ., წნეხი, პრესი კი არ იქნება, არამედ дробилка, რასაც ხმარობენ თუნდაც იმავე მეღვინეობაში.

ავიღოთ ახლა სიტყვა „დანდი“ (степень?!), რომელიც უწარმოებიათ თურმე—დანდალიდან. ჯერ ერთი ასეთი თვითნებური შემოკლება სიტყვისა არც მეცნიერებასა და არც ცოდნას არაფერსა მატებს, და მეორეც დანდალი არც ступень, და არც степень-ი, არც ხარისხი, არც საფეხური,—დანდალი არის ურმის უბის შემკავშირებელი და დიდი ჭკუის ძალდატანებაა საჭირო რომ იგი степень-ად აქციოს ადამიანმა და ხალხმა ნამეტნავად. ასეთ გადმოქართულებას ახალი ლექსიკონის ავტორები ეძახიან ხ ე რ ხ ე ბ ს და ჩვენა გვგონია, რომ ასეთი ხერხით ადამიანის გახერხვაც შეიძლება, მით უფრო რომ ლოგარითმიც-კი დანდალიდან გამოუყვანიათ: დ ა ნ დ ს ა ხ ი ა და დ ა ნ დ ს ა ხ ე ბ ა-ო.

ასეთი ხერხებით ვითომ მოუშორებიათ „საერთაშორისო ტერმინების“ გაუგებრობა ხალხისათვის და შეუქმნიათ გასაგები ენა: „აირთ გარტყუცვლი და წნეუცვლი თბოტებობა“. ეხლა, მე გკითხავთ, რომელი ხალხი ან ჭკვათა მყოფელი გაიგებს ამ ფრაზას. ჭკუური უფრო გასაგებია: „გიწირიწი კაწაბაწაძეწე...-ო, სოფლის გოგოები რომ ლაპარაკობენ, ვიდრე აღნიშნული აბრაკადაბრა. ან რატომ უნდა იყოს теплоемкость თბოტევობა, როცა სითბოტევნა ან სითბოტევა უფრო გამომსახველიც არის აზრისა და ქართულიც.

საზოგადოთ რომ შევაერთოთ გრძელ ფრაზებში ამ ლექსიკონის რთული და შეთხზული სიტყვები, ყოველგვარი სწავლება „სატერმინო სექციაში“ უნდა სწარმოებდეს რომ კომენტარიები რომელიმე წევრმა გაუკეთოს, რადგან ვერც ერთი ლექსიკონი ვერ დაიტევს ყველა იმ ისტორიულ, ფილოლოგიურ, ლინგვისტურ და სხვა ახსნათ, რომელიც ამ სიტყვებსა სჭირდებათ.

რა არის, მაგალითად, დასწრდენი, დენბადი, ძრავწირი, სივრცეგნობა, წესფართი და ათასი ამისთანა, რომლის გაგება აუხსნელად შეუძლებელია და დახსომება ისეთივე უხერხულია, როგორც „საერთაშორისო“ ტერმინებისა, რასაც ასე გაურბის „სატერმინო სექცია“. ჩვენის აზრით, ასეთი ძალდატანებითი გადმოქართულება ყველაფრისა, ენას კი არ „ამდიდრებს, და ამეცნიერებს“, არამედ ანაგვიანებს და ზოგი „საერთაშორისო“ ტერმინის გაძევება უბრალო [illegible] „გადემოკრატება“. მაგალითად, რა სათქმელია გეომეტრიის მაგიერ: ს ი ვ რ ც ე გ ნ ო ბ ა, საცა ქართული ენისათვის მიუღებელი შეუხამებლობაა ხმებისა: ექვსი უხმო ასო ერთად ვ რ ც ე გ ნ, ულამაზოა და არაფრის შემმატი მეცნიერებისათვის, ან არითმეტიკის მაგიერ რიცხვოგნობა. ეს გასომხებაა ქართულისა. თუ კი ალგებრას მაგიერ შეიძლება დავტოვოთ „სექციის“ აზრით „ალჯებრი“ (!?), რატომ არ შეიძლება დარჩეს გეომეტრია. სად არის აქ ლოღიკა?

ძნელია ერთ საგაზეთო წერილში ყველა იმ აურაცხელ ნაკლის აღნუსხვა, რომელიცა აქვს ახალ ლექსიკონს, მაგრამ რამდენიმე დამახასიათებელის აღნიშვნა მაინც საჭიროა, რადგან თვით მეთოდი სიტყვების შექმნისა— შემცდარია. მაგ. магнетизмъ, магнитъ, ანდამატობა, ანდამატის მაგიერ, რომელიც თურმე „ხალხისთვის მუნჯი და უცხოა“,—არის მ ზ ი დ ა რ ო. ეს სრულიად ზედმეტი თხზვაა სიტყვებისა, როცა უკვე არის ხალხშიაც და საზოგადოებაშიაც—ანდამატი და თუ მზიდარო ლამაზი და მისაღებია, იგი უნდა დარჩეს тяготѣніе—სათვის. ვთქვათ მისაღებია—შუქარა, მაგრამ маякъ—კანდელი უკვე არსებობს და შუქურა მეტიც არის და სხვა მნიშვნელობაცა აქვს. არის სიტყვა მაღალი და არა მსხვრევადი.

არითმეტიკაში თვლა ათობით და არა ოცობით მისაღებია, მაგრამ ქართულს ენას არ ეღალატება და როცა ამბობთ ხუთათ ხუთი ან ექვსათ ექვსი ეს არ ნიშნავს 55 ან სამოცდა ექვსს, არამედ მარტო ხ უ თ ს, მარტოოდენ ე ქ ვ ს ს და საჭიროა ისე იყოს ნაწარმოები რიცხვი, როგორც ქართული ბუნება მოითხოვს მ. ი. ხუთათი და ხუთი ან ხუთათ და ხუთი ექვსათ და ექვსი და სხ. როგორც ოცდახუთი ოცდაექვსი.

микроскопъ—ჭირნმაჩინი ლამაზი სიტყვაა და აზრიც მიღწეული, მაგრამ ქართულ ენაში ჭირნმაჩინი სწორედ წინააღმდეგსა ნიშნავს: იმისთანა საზღაპრო მოვლენას, რომელიც იმასაც მალავს, რაცა სჩანს.

აგრეთვე ლამაზია სიტყვა მაცივარი— холодильный, რომელიც უკვე მიღებული იყო ქართული პრესისაგან.

ჩვენ არას ვამბობთ ქიმიურ სახელებზედ, საცა სრული თავისუფლება გამოუჩენია „სატერმინო სექციას“: საფუძეობა, საძიეობა, ბმიობა და სხ. ლითონი ბერძნული სიტყვა არის და ნიშნავს არა მეტალს, არამედ ქვასაო, ამიტომ მეტალის სახელი ქვიდან გამოვიყვანეთ და ლ ი თ ო ნ დავარქვითო; მეტალოიდს ლ ი თ ა რ ო, ე. ი. ა რ—ლ ი თ ო—ლოღიკაა? ამაზეა ნათქვამი lucus a b non lucendo. ელემენტი—ასობი; ატომი—წია; მოლეკულა—წიარა; კორპუსკული—კუწი: ანაკუწი, ბანაკუწი და სხ. ყველა ამას ისეთივე საფუძველი აქვს როგორც ნომენკლატურას: калій—ტვივა (?) натрій—მტუტა; барій—მძიმა; стронцій—ალძოფა; магній—ალითერთა; азотъ—ჰაისი; сурьма—სტამბი; хлоръ—სპეტი! фторъ—მალღი; бромъ—ბრიობი და ხხ. ისეთივე ლოღიკა იქნება, რომ ყველა ეს სიტყვები აგვერია ერთმანეთში და ბრომისთვის ანაკუწი დაგვერქმია ნატრისთვის მსპეტი ან ქლორისათვის—ტვივა და სხ.

ტეხნიკაში ისევე როგორც სხვა მეცნიერებაში, შეთხზულ სიტყვებს არ ეტყობათ შემოქმედება, სიცოცხლის ნიშან წყალი და მარტოოდენ დასახელებაა, რაიც საკმარისი არაა ნამდვილი ტერმინოლოგიის და ენის შექმნისათვის. მაგალითად უკეთესია ითქვას ძრავი— двигатель, ვიდრე ძ რ ა ვ ა: ქშედი უფრო ქართული და მიზან შეწონილია, ვიდრე ქ შ ო ს ი, რადგან ყველას ნაძალადევობა ეტყობათ. Воздухоплаваніе—ჰაეროსნობა უფრო უხდება, ვიდრე ჰ ა ე რ ნ ა ო ს ნ ო ბ ა და авіація—ფრენოსნობა სრულიად ზედმეტია.

ვერ გაგვიგია რა საჭიროა მაინცა და მაინც ტრამვაის—რ ო ნ ა რ ა (?) და ვაგონის—რ ო ნ ო დ ა (?) გამოგონება. ან ტეხნოლოგიისათვის ყოვლად უშნოვასი სიტყვისა—მ ო ქ ნ ე ნ ო ბ ა? ს ა ქ მ ო ს ნ ა რ ო, თურმე механическая мастерская არის და სამოქნარო—фабрика, ახირებული ამბავი არ არის? ან რა დასახსომებელია?

ბოლოსიტყვაობაში ბევრი კარგი შენიშვნაა ხალხიდან ტერმინოლოგიის შეკრებაზედ, მაგრამ ამ შენიშვნების განხორციელებაა საჭირო და წარა აღნიშვნა მხოლოდ. თურმე ფაქტიურად ორივ ერთნაირად გაუგებარია: „ულტრა იისფერ შუქებში ეს ეკრანი მწვანედ ფოსფორესცენციობს“ და „ი ა დ გ ა ლ მ ა (?) ს ხ ი ვ ე ბ ში ე ს ა ფ ა რ ი მ წ ვ ა ნ ე დ ც ი ც ი ნ ა თ ო ბ ს“.

სხივთ ბნევა—аберрація კი არა, разсѣяніе лучей—იქნება, სიტყვა თ ვ ი თ უ რ ი, სრულებით ვერ გამოხატავს ცნობას абсолютный—ან საიდან არის ა ღ ლ ვ ა анализъ-ი?

მერე თუ გადახედავთ თვითონ ლექსიკონს, საცა ახსნა სიტყვებისა, აღარ არის, პირდაპირ თავ სამტვრევი ხდება თუ საიდან არის მოგონებული ეს სიტყვა ან ისევე მექანიკურად დასახსომებელია, როგორც საერთაშორისო ტერმინი და რაშია მისი უპირატესობა [illegible] თაა ახსნილი**), მაგ. агрономъ და агрономія მეურნე და მეურნეობათ არის ნათარგმნი, მაშინ როდესაც მეურნეობა—ნიშნავს ყოველგვარ хозяйство-ს, თუნდაც რკინის გზაზედ, ქარხანაში თუ ქალაქში და агрономія—არის სასოფლო მეურნეობა— сельское хозяйство.

ამას უნდა დაუმატოთ, რომ ქართველებს არად მიაჩნიათ არაბული, სპარსული, თათრული სიტყვების დატოვება ქართულ ენაში და მათგან სიტყვების წარმოებაც, რადგან არ იციან საიდან არის ესა თუ ის სიტყვა შემოსული და „საერთაშორისო ტერმინოლოგიას“ კი, რომელსაც ლათინური, ბერძნული, ფრანგული და სხ. ძირი აქვთ—სდევნიან, როგორც მუნჯსა და ყრუსა. ასეთ ახირებულ მდგომარეობის გამოსასწორებლად, ჩვენი ტერმინოლოგიის, ნომენკლატურის და საზოგადოთ ტეხნიკურ თუ მეცნიერულ ენის შესაქმნელად, გარდა ხალხში გაბნეული სიტყვების გამოძებნისა (სხვა და სხვა პროვინციებში), საჭიროა ხშირი აზრთა გაცვლა-გამოცვლა საზოგადოებაში, პრესაში, სპეციალურ „აკადემიაში“, თუ გნებავთ, და არა ვიწრო „სატერმინო სექციაში“, საცა ფორმალი შემოქმედებისა შემოუხაზავთ მარტო „კოლექტიური“ შეთხზვით და ენისათვის ს უ ლ ი ამოურთმევიათ.

რ. გაბაშვილი.

*) მცეურა—бактеріальный (?) ბეშონა амфитеатръ (?) მედაბილი—барельефъ (?) ხატნარი—атласъ (?) ძმარაბ—Ацетилъ (?)

**) ფეთქვა—взрывъ (?) კუტი—бабка (?) კოჭი—бабка (?) ჭაღი —люстра (?) არიან არა —блокъ-ი (?) ცინჯანი—блюдечко?

## ახალციხეში

10 იანვარს, ქ-ნი ბარბარე დავითის ასული ავალიშვილის თაოსნობით გაიმართა საიუბილეო წარმოდგენა, ქ. ჯეჯილის 35 წლის არსებობის აღსანიშნავად. ბავშვებმა ითამაშეს საყმაწვილო პიესა „უკატო სახლში თაგვები მეფობდენო“ და წაიკითხეს ლექსებიც.

მეორე აქტი სომხურ ენაზე ითამაშეს საყმაწვილოვე პიესა. დასასრულ იცეკვეს ბავშვებმა. წარმოდგენის შემოსავალი ადგილობრივ ობოლ ბავშვთა თავშესაფარისთვის იყო გადადებული. შემოვიდა სუფთა 4700 მანეთი.

17 იანვარს ქ-ნ ერემოვისა და ოთხმეზურის მოთაობით ადგილობრივი წ. კ. საზოგ. ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გაიმართა წარმოდგენა. ითამაშეს ახალი პიესა ს. ვაჩნაძის „უბედური თავაზი“ და მესხი ქ. გვარამაძის 2 მოქმ. და პატარა კომედია ჯავახური ქორწილი. 700 თუმანზე მეტი დარჩა სუფთა შემოსავალი.

დამსწრე.

## ქალაქის საბჭოში.

26 იანვარს სამი საინტერესო კითხვა ირჩეოდა—არტისტულ საზოგადოების შენობის იძულებითი ჩამორთმევა, სამუშაო დღეები სავაჭრო დაწესებულებებში და ხმოსან დ. ვაჩნაძის შეკითხვა ქ. თფილისის გაწმენდის შესახებ კრებას. დაესწრო 57 ხმოსანი, დეპუტატები მუსულმანების, ვაჭრების, ქანდარა სავსე იყო ხალხით.

მიუხედავად საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ ლომთათიძის ცდისა პირველი კითხვის გადაწყვეტისათვის ქვორუმი 60 ხმოსანის ვერ შეგროვდა და არტისტიულ შენობის ჩამორთმევაც გადაიდო შემდეგ კრებისათვის.

სავაჭრო დაწესებულებების სამუშაო დღეების საკითხის გარშემო კამათმა მწვავე ხასიათი მიიღო. მუსულმანების და ებრაელების წარმომადგენლები მოითხოვდნენ, რომ კვირა დღეს მათ მიეცეს უფლება ვაჭრობისა, რადგან ისინი არ ვაჭრობენ პარასკევ—შაბათობით და კვირაში ორი დღით უქმობა კი მათ დიდ ზარალს აძლევთ.

ხმოსან სოციალ დემოკრატებს სიცილათ არ ეყოთ მუსულმანების ჩივილი. მათი ორატორები მოითხოვდნენ კვირა დღის უქმის ყველასათვის დაწესებას, რადგან ამას მოითხოვს მუშათა კლასის ინტერესიო.

ნაც. დემოკრატების წარმომადგენლები ნ. თალაკვაძე და ძიძიშვილი უფრო შორს წავიდნენ და წინადადებას აძლევდნენ თათრებს ნაცვლად პარასკევისა ჩვენთან ერთად კვირა დღე იუქმეთო და სადავო აღარაფერი გვექნებაო.

მაგრამ მუსულმანები სრულიად სამართლიანად იცავდნენ თავის ნაციონალურ უქმეს პარასკევს და ყოვლად შეუწყნარებლად სთვლიდნენ ყველა მუსულმან ხალხების ტრადიციულ უქმის პარასკევის დღეს საქართველოში მათთვის გაუქმებას...

მიუხედავად დღევანდელ სოლოლაკელ სოციალ პროლეტარების ჭრიამულისა და ნაც. დემ. მერკანტილობისა მუსულმანების დაჟინებულმა მოთხოვნამ აიძულა პირველი და მეორე კლასის ხალხი, ს-დ და ნ-დ მიიღოთ წინადადება თათრებისა ხელი აიღონ ამ საკითხის გადასინჯვისა.

ყოველ შემთხვევაში მრავალ მუსულმანთა მოსახლეობის პატრონებს ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთ მეტი ტაქტი მოეთხოვებათ ამ სათუთ საკითხის გარჩევის დროს.

მით უფრო სამაგალითო საქართველოს შემოერთების დღეების წინ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვაშენებთ დღეს ეროვნულ სახელმწიფოს, დამყარებულს ყველა ჯგუფთა და ერთა ქონებრივ, კულტურულ და რელიგიურ ინტერესების შეგუებაზე და არა თფილის-ქუთაისის—ფოთის რამოდენიმე ათასი ქართველ მუშის ან ასიოდე ვაჭრის ქვეყანას.

დ. ვაჩნაძის შეკითხვაზე ქალაქის თავმა თავის პასუხში გაიმეორა ისტორია იმ მარცხისა, რომელიც დაემართა ჩვენს მენშევიკებს თფილისის გაწმენდის საქმეში. დაპირებულ 100.000 კაცის გადასახლების მაგიერად თფილისიდან გადაასახლეს მხოლოდ 562 კაცი! მასთან გამოირკვა ის კურიოზი, რომ ამავე დროს განმავლობაში თფილისში ასეთივე ჯურის ხალხი შემოვიდა ათჯერ მეტი: ათი კაცი მიდიოდა ასი შემოდიოდა. ამ გვარად დამფუძნებელ კრების დეკრეტი, შინაგან საქმეთა მინისტრის მრისხანე დადგენილებები და ქალაქის თავის საქვეყნო ფიცი თფილისის გასუფთავების მავნე და ზედმეტ უცხო ხალხისაგან, რომელიც ვითომდა გამოიწვევდა პურის გაიაფებას, ბინების განთავისუფლებას და სხვა ბედნიერ შედეგებს საპნის ბუშტად გამოდგა. ბოლოს კი გამოირკვა, რომ თფილისი კვლავ ივსება რუს ქალაქებიდან გამოქცეულ მრავალ ლტოლვილებით. ყველაფერი ეს აღნიშნა თავის საპასუხო სიტყვაში შემკითხველ დ. ვაჩნაძემ და მოითხოვა ეხლა მაინც რადიკალურ ზომების მიღება ჩრდილოეთის ლტოლვის წინააღმდეგ, რომელთა შემოსევა საქართველოს ქალაქში დაღუპვას უქადის მთელს ყვეყანას.

ქალაქელი.

## ეკლესიის დამხმარე საზოგადოება

(ზოგადი დებულებანი).

შექმნილმა სოციალ-პოლიტიკურმა ვითარებამ ძირიან ფესვიანად შეცვალა ჩვენი ეკლესიის მდგომარეობა; ვინ არ იცის, რომ აქამდენხანს ჩვენი ეკლესია იყო გაბატონებული, უფრო პოლიტიკური, ვიდრე სარწმუნოებრივი, ორგანიზაცია, რომელსაც სახელმწიფო მფარველობას უწევდა, პრივილეგიებს ანიჭებდა და მატერიალურად ინახავდა. დღეს ფაქტიურად ეკლესიამ ყოველივე ეს დაკარგა, ის იძულებული შეიქნა თავის საკუთარ ძალებს დაეყრდნოს და მორწმუნეთა წრეში ეძიოს არსებობის სიმტკიცე და ნიადაგი. სახელმწიფო ჰპირდება მოქალაქეთ დააკმაყოფილოს ყოველგვარი მათი, ფიზიკური და სულიერი, მოთხოვნილება, გარდა ერთისა, რომელსაც რელიგიური მოთხოვნილება ეწოდება და რომელიც ადამიანის კერძო, პირად საქმედაა მიჩნეული. აქედან ცხადია, ის მოქალაქენი; რომელთათვის რელიგიური მოთხოვნილება მართლა მოთხოვნილებას შეადგენს, ვალდებულნი არიან საკუთარის ძალით და ღონით დაიკმაყოფილონ ის. მართალია, ჩვენ გვაქვს მორწმუნეთა საზოგადოება, რომელსაც ეკლესია ეწოდება და რომელმაც თავის წევრთა რელიგიური მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს; ამიტომ, თითქოს, საჭირო აღარ უნდა იყოს ცალკე საზოგადოების დაარსება. რომელსაც იგივე წევრები ეყოლება და თითქმის იგივე მიზნები ექნება დასახული. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეკლესიის წევრთა უმრავლესობა პასიურ ელემენტს წარმოადგენს: საზოგადოებრივი ან ოჯახური მდგომარეობა, საჭირო ენერგიისა და განვითარების უქონლობა მათ ხელს უშლის ის აქტუალობა და შემოქმედება გამოიჩინონ, რასაც თხოულობს ჩვენი ეკლესიის დღევანდელი მდგომარეობა. ყოველი წევრი ეკლესიისა ვალდებულია რელიგიისა და მორალის დროშა აილოს ხელში, მაგრამ ყველას არ შესწევს ენერგია პავლესი, ემოცია პეტრესი და სიყვარული იოანესი, საჭირო და აუცილებელი ხდება ეკლესიამ გამოყოს თავის წრიდან ისეთი წევრნი, რომელნიც დღევანდელს განსაკუთრებულ პირობებში ეკლესიის სამსახურს თავის არსებობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვალეობად დაისახვენ, რასაკვირველია, ჩვენი საბოლოო მიზანი და სურვილია—ეკლესია ისე მოეწყოს, რომ [illegible] ალში საჭირო აღარ იქნეს, მაგრამ, ვიდრე ეს არ მომხდარა, მის შვილთა შორის უნდა ვეძიოთ საგანგებოდ მომზადებულნი, რომელნიც ღირსეულად ემსახურებიან მის წმიდა მიზნებს და აწინდელ უნუგეშო მდგომარეობას. ასეთი იმედებით არსდება ეს ახალი საზოგადოება, რომელსაც „მართმადიდებელ ეკლესიის დამხმარე, წმიდა ნინოს სახელობის, საზოგადოება“ ეწოდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საზოგადოება ჩვენს ეკლესიაში საკმაო თანამგრძნობელთ იპოვის, განსაკუთრებით დედათა წრეში, რომელნიც ისტორიულად შეადგენდენ ეკლესიის სულიერ შვენებას, მორალურ სიმტკიცეს და საქველმოქმედო პოტენციას.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რ.

ნება მომეცით თქვენი გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოუცხადო ქ-ნ ბ. დავით ასულს ავალიშვილისას, რომელმაც ჟ. „ჯეჯილის“ 35 წლის არსებობის აღსანიშნავად 10 იანვარს გამართულ საიუბილეო წარმოდგენიდან შემოსული 4700 მანეთი გადმოსცა ჩემ მიერ რწმუნებულ ობოლ ბავშთა თავშესაფარსა, რადგან შემოსავალი თავშესაფარისთვის იყო გადადებული. მადლობას უცხადებთ აგრეთვე მასწავლებელ ქალს ქ-ნ ელენე სტ. ასულს მესარკიშვილისას, რომელსაც ბავშვების მომზადებაში დიდი შრომა მიუძღვის. ვმადლობ აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც ფიზიკური თუ ეკონომიური დახმარება მიუძღვით ამ წარმოდგენაში და განსაკუთრებით ბ. სვიმონ ერემოვს და იაკობ ორბელიანს, რომელთაც ზედმეტად შემოსწირეს თავშესაფარს პირველმა 200 მანეთი და მეორემ 100 მანეთი.

პატივისცემით თავშესაფარის გამგე.

ბაბო თქროპირიძე